სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №- 121

--

ქ. ბაღდათი

22 სექტემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ თვითმმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ გელა მშვილდაძის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. „ივანე ქვრივიშვილი"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სოფ. დიმში სასაფლაოს ეზოში სამი ძირი ხის მოჭრა (CPV 77211400).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენს 800 (რვაასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3.მომსახურების განხორციელების ვადები

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე ეტაპობრივად თანდართული ცხრილის მიხედვით ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით.

3.2. „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ მომსახურებაზე, გამოვლენილი დეფექტებისა და უზუსტობების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

4.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება დასრულებისთანავე ფორმდება „მიღება – ჩაბარების" აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს ანგარიშ –ფაქტურას.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2 ანგარისშწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება-ჩაბარების„ აქტი, წარმოდგენილი ანგარიშფაქტურა.

5.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება „მიღება–ჩაბარების"აქტისა და ანგარიშ–ფაქტურისა წარმოდგენიდან არუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.4. „მიღება–ჩაბარების"აქტისა და ანგარიშ–ფაქტურისა წარმოდგენის გარეშე, არ მოხდება თანხის გადახდა.

6.მხარეთა ვალდებულებები

6.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

6.1.1. „შემსყიდველის" წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გონივრულ ვადაში უზრუნველყოს , შუალედური ინფორმაციის მიწოდება.

6.1.2.დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.2."შემსყიდველი" ვალდებულია:

6.2.1.უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა 5.3. პუნქტის შესაბამისად.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია
ADMINISTRATION OF BAGDATI MUNICIPALITY BOARD

6.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7. მხარეთა უფლებები

7.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება და საჭიროებისამებრ ინფორმაციის მიწოდება მომსახურების სამუშაოებთან ან მასთან მომიჯნავე სფეროებთან დაკავშირებით.

7.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი და მოითხოვოს შუალედური ინფორმაციის მიწოდება.

8. ფორს-მაჟორი

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

8.2 „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, საომარი მდგომარეობა, საკანონმდებლო ცვლილებები, და ა.შ.) რომლებიც არ არსებობდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაეღახათ.

8.3. მხარე, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეურულებლობის მიზეზად დაასახელებს ფორს-მაჟორულ გარემოებებს, ვალდებულია მათი დადგმომისთანავე აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ და დაადასტუროს მათი არსებობა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ გამოცხადებული იქნება სახელმწიფო ორგანოების მიერ საჯაროდ, საინფორმაციო და მასობრივი სამუალებების დახმარებით.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.დავების გადაწყვეტა

10.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

10.2. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია * MUNICIPALITY BOARD OF ADMINISTRATION OF BAGDATI

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.2.საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

13.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

13.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

13.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ხელშეკრულების შესრულების გარანტია არ გამოიყენება

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი კომისია.

15.2. კომისიის ფუნქციებია:

15.2.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

15.2.2.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. გაფორმებული ურთიერთშედარების აქტების წარმოდგენის უზრუნველყოფა, მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და „შედარების აქტის"გაფორმება.

16. დამატებითი პირობები

16.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით.

17.გამოყენებული სამართალი

17.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობა
MUNICIPALITY BOARD OF ADMINISTRATION OF BAGDATI

18. დასვნითი დებულებები

18.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

18.2.მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები.

18.3.ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერზე, 3(სამ) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.4. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" ორი ეგზემპლარი „შემყიდველთან".

შემსყიდველი:

სსიპ "თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი"
ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ.№9
კოდიTTREGE22
ერთიანი სახაზინო ანგარიში
ანგ.200122900

მუნიციპალიტეტის გამგებელის მ/შ:

/გელა მშვ

მიმწოდებელი:

ი.მ. „ივანე ქვრივიშვილი"
სიღნაღის რაიონი, სოფ.ბოდბისხევი
ს.კ. 40001036975
სს „ლიბერთი ბანკი"
LBRTGE22
ა/ა GE35LB0111151760117000

ინდ.მეწარმე:

/ი.ქვრივიშვილი/